n 92/1759

**Goethe-Institut Georgien**
Sandukeli Str. 16
0108 Tbilisi
Georgien
Tel.: +995 32 93 89 45
+995 32 92 01 54

**დამატებითი ინფორმაცია**
www.goethe.de/georgien

**რეგისტრაცია**
pruefungen@tbilissi.goethe.org

# GOETHE-ZERTIFIKAT
# A1
## START DEUTSCH 1



**GOETHE INSTITUT**
Sprache. Kultur. Deutschland.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ყოველი დასაწყისი მარტივია!

## DAS GOETHE-ZERTIFIKAT A1: START DEUTSCH 1

გერმანული ენის გამოცდა Das Goethe-Zertifikat A1: Start Deutsch 1 მოზრდილებისთვისაა.

გამოცდა ადასტურებს, რომ მოცემული პირი გერმანული ენის ელემენტარულ ცოდნას ავლენს. გამოცდა შეესაბამება საერთო ევროპული ენების ჩარჩო-დონეების (GER) ექვსსაფეხურიანი კომპონენტთა სკალის პირველ საფეხურს.

გოეთეს ინსიტუტის სერთიფიკატები მსოფლიოში მაღალი ცნობადობით სარგებლობს და მრავალ ქვეყანაში დამსაქმებელთათვის და წამყვანი საგანმანათლებელო დაწესებულებებისათვის კვალიფიკაციის დასტურად მიიჩნევა. Goethe-Zertifikat A1: Start Deutsch 1 ასევე ენის ცოდნის მოწმობაა მეუღლეთათვის გერმანიაში გასამგზავრებლად.

ამ გამოცდის ჩაბარებით კანდიდატი ადასტურებს, რომ შეუძლია

- მარტივად გადმოსცეს აზრი, როდესაც მოსაუბრე ნელა და გარკვევით საუბრობს.
- ნაცნობი, ყოველდღიურად და ხშირად გამოყენებადი გამონათქვამების და მარტივი წინადადებების გაგება და მათი გამოყენება. (მაგ: ინფორმაცია პიროვნებაზე და ოჯახზე, საყიდლები, სამუშაო, ახლო გარემოცვა).
- საკუთარი თავისა და სხვათა წარდგენა, კითხვის დასმა სხვათათვის საცხოვრებელ ადგილთან, მათ ნაცნობებთან, ან კუთვნილების საგნებთან დაკავშირებით.





ეროვნული ბიბლიოთეკა

## სრულებით არ არის რთული: გამოცდის შემადგენელი ნაწილები.

### წერითი ჯგუფური გამოცდა

თქვენ მოისმენთ მოკლე ყოველდღიურ საუბარს, პირად სატელეფონო საუბარს ან საჯარო განცხადებებს, რადიოთი გადმოცემულ ცნობებს და შეასრულებთ დავალებებს.

წაიკითხავთ მოკლე ჩანაწერის მსგავს ტექსტებს, მოკლე განცხადებებს, ტექსტებს მითითების აბრებზე და დაამუშავებთ დავალებებს.

შეავსებთ მარტივ ფორმულარებსა და დაწერთ მოკლე პირადულ ტექსტს ყოველდღიური სიტუაციიდან.

**გამოცდის ხანგრძლივობა:** 65 წუთი

### ზეპირი ჯგუფური გამოცდა

თავს წარადგენთ ჯგუფში. შემდგომ დასვამთ კითხვებს ყოველდღიურ თემებზე და უპასუხებთ მათზე, თხოვნით მიმართავთ ჯგუფის წევრებს.

**გამოცდის ხანგრძლივობა:** 15 წუთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დონეები

| დონე | გამოცდა |
| --- | --- |
| C2 | **Goethe-Zertifikat C2:**<br>Großes Deutsches Sprachdiplom |
| C1 | **Goethe-Zertifikat C1**<br>**Test Deutsch als Fremdsprache** (TestDaF)<br>**BULATS*** (Deutsch-Test für den Beruf) |
| B2 | **Goethe-Zertifikat B2**<br>**Zertifikat Deutsch für den Beruf**<br>**Test Deutsch als Fremdsprache** (TestDaF)<br>**BULATS*** (Deutsch-Test für den Beruf) |
| B1 | **Goethe-Zertifikat B1**<br>(მოზრდილებისა და მოზარდებისათვის)<br>**BULATS*** (Deutsch-Test für den Beruf) |
| A2 | **Goethe-Zertifikat A2:**<br>Start Deutsch 2<br>**Goethe-Zertifikat A2:**<br>Fit in Deutsch 2 (მოზარდებისათვის)<br>**BULATS*** (Deutsch-Test für den Beruf) |
| A1 | **Goethe-Zertifikat A1:**<br>Start Deutsch 1<br>**Goethe-Zertifikat A1:**<br>Fit in Deutsch 1 (მოზარდებისათვის) |



* BULATS გერმანული-ტესტი პროფესიისათვის კომპიუტერზე ბაზირებული ტესტია, რომელიც მოსმენის და კითხვის უნარებს, ლექსიკასა და გარამატიკას მოიცავს.

## კეთილი იყოს თქვენი მობრძანება გოეთეს ინსტიტუტში გერმანული ენის შემსწავლელ კურსზე.

ცხადია ჩვენთან არა მხოლოდ გამოცდების ჩაბარებაა შესაძლებელი, არამედ გერმანული ენის შესწავლაც. გოეთეს ინსტიტუტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მსოფლიოში მოქმედი კულტურის ინსტიტუტი და გერმანული ენის ყველაზე რენომირებული შემომთავაზებელია. გოეთეს ინსტიტუტი თქვენი პარტნიორია ყოველდღიური, თავისუფალი დროის, პროფესიული, თუ სწავლისათვის საჭირო ენის შესწავლის შემთხვევაში. ჩვენთან გარანტირებულია სწრაფი წარმატება სწავლაში.

// ცოდნის დონის დასადგენი ტესტით

// მაღალკვალიფიცირებული მასწავლებლებით

// უახლესი სწავლების მეთოდებით

// ინტენსიური რჩევებითა და ხელმძღვანელობით

// ჩვენი მსოფლიოში აღიარებული კურსების სისტემით

გამოიყენეთ ჩვენი ათეულობით წლის გამოცდილება, 230.000-ზე მეტი კმაყოფილი მომხმარებლის მსგავსად.

**WWW.GOETHE.DE/GEORGIEN**